

49. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 2003 წლის 30 იანვარი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შემოთავაზებას გამოხატავს უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთთან, საქართველო, დაკავშირებით, განვითარებული მოვლენების გამო და არნისნავს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა პროგრესის მიღწევა აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში; სეპარატისტული ხელისუფლება კვლავ უარს აცხადებს პოლიტიკურ დიალოგზე და “თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ” ე. წ. ბოდენის დოკუმენტის გაცნობაზეც კი, უარს ამბობს დევნილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფაზე და ცდილობს ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად ხელოვნურად შეცვლილი დემოგრაფიული სიტუაციის შენარჩუნებასა და დაკანონებას.

ამ ფონზე განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთის(რომელიც ამავე დროს შუამავალია კონფლიქტის მხარეებს შორის) ქმედებების, რომლებიც საქართველოს მიერ ერთმნიშვნელოვნად აღიქმება აგრესიული სეპარატიზმის მხარდაჭერად.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, სოჭი-სოხუმის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცის ათვისების მცდელობა, აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაცია რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რუსეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირების განშირებული შეხვედრები აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან საქართველოს ხელისუფლების სრული უგულვებლყოფის ფონზე აღიქმება აფხაზეთის – საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებების წარმოადგენს საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ნების უგულვებლყოფას საერთაშორისო სამართლის ნორმების, ორმხრივი ხელშეკრულებებისა და დსთ-ის ფარგლებში ხელმოწერილი არაერთი შეთანხმების დარღვევით. აღნიშნული პრობლემები უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და მოუგვარებლობის შემთხვევაში გამორიცხავს მათი კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესაძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი ზემოაღნიშნული ქმედებების შესახებ, ქართული მხარე ელის, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია რუსეთში ვიზიტისა და საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების უკრაინაში სეხვედრის შემდეგ რუსული მხარე კონსტრუქციულ ნაბიჯებს გადადგამს არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, აღნიშნული საკითხები რუსეთ-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების გზით გადაწყდეს, და მიმართავს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც პირველ ეტაპზე შეისწავლის აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებისა და სარკინიგზო მიმოსვლის აღკვეთის გზებს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხები უახლოეს მომავალში არ მოგვარდება ორმხრივ დონეზე, საქართველო იძულებული გახდება, ეს და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განიხილოს, როგორც რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების პოზიცია, და მიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაეროს, ეუთოს, ევროპის კავშირს, ევროპის საბჭოს და მეგობარ სახელმწიფოებს მხარდაჭერისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

საქართველოს პარლამენტი მოითხოვს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან:

მოსთხოვოს რუსეთის მხარეს, დაუყონებლივ აღკვეთოს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის უკანონო მასობრივი მინიჭება და სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა;

მოსთხოვოს რუსეთს, როგორც კონფლიქტის მხარეებს შორის შუამავალს, გაატაროს ეფექტიანი ზომები, რათა აფხაზურმა მხარემ დაიწყოს პოლიტიკური დიალოგი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მანდატის შეცვლისა და გაეროს წესდების მე-7 თავით გათვალისწინებულ დებულებათა ამოქმედების თხოვნით;

დსთ-ის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გასვლის შემთხვევაში შესაბამისმა სტრუქტურებმა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ამ ზონაში საომარ მოქმედებათა განახლების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის;

გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები ქვეყნისათვის თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერების უზრუნველსაყოფად;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს პარლამენტს შექმნილი სიტუაციის დაძლევისა გეგმა. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

თბილისი, 2003 წლის 30 იანვარი.

(www.parliament.ge)